პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა
24 მარტი
1940 წ.
№ 69 (5770)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური სამშობლოს დევგმირები

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულების და ამ საქმეში წარჩინებული ოთხასი მეომრის ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ. საბჭოთა კავშირის გმირების საპატიო სია შეივსო 171 ახალი სახელით. 23 სამხედრო ნაწილი, სოციალიზმის ქვეყნის მრავალი ათასი მამაცი მეომარი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მთელი ქვეყანა ღრმა კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდება ამ ბრძანებულებებს, ვინაიდან ისინი გამოხატავენ ხალხის ნებასურვილს, ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელთა გრძნობებს. გმირი ხალხი მიესალმება თავის გმირ შვილებს, რომლებმაც ღირსეულად და სახელოვნად შეასრულეს საბჭოთა მთავრობის ბრძანება.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა წითელმა არმიამ სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ლენინგრადის და სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროება ამჟამად უზრუნველყოფილია. ომის გამწარებული ცდები — ევროპის ამ კუთხეში პროვოკაციულად დაენთოთ ომის ხანძარი — ჩაშალა. წითელმა არმიამ დაამსხვრია გამაგრებული ხაზი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში აშენებდნენ იმპერიალისტები საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, და ამით ჩაფუშა ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთში ომის გაჩაღების იმპერიალისტური გეგმები. წითელმა არმიამ მოახდინა იმ საფრთხის ლიკვიდაცია, რომელიც ემუქრებოდა ლენინგრადს — მსოფლიოში ამ დიდებულ მუშათა ცენტრს, ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა მთავრობის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანები.

ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში წითელმა არმიამ მოახდინა დაუვიწყარი საგმირო საქმეები. ეს საგმირო საქმეები ღირსეულად აღინიშნეს საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესმა ორგანოებმა. სახელოვანთა სიაში არიან საბჭოთა კავშირის ახალი გმირები, მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითი ჯარის მებრძოლები. წითელი არმიის იმ სახელგანთქმულ მეთაურთა სახელების გვერდით, რომლებსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, აქ მოთავსებულია სახელები ადამიანებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ რიგითი მებრძოლები იყვნენ. მათ გამოიჩინეს უმაგალითო თავგანწირვა და სიმამაცე, უშიშრობა ბრძოლაში, გულადობა, მოხერხებულობა, გამარჯვებისადმი ურყევი ნებისყოფა. მათს საგმირო საქმეებში გამოხატულია უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი. მზადყოფნა მისი ძლიერებისთვის, მისი საზღვრების უშიშროებისათვის მთელი თავისი ძალღონის და თვით სიცოცხლის გაწირვისა. მათს ღირსეულ საქმეებში ასახულია ლენინ-სტალინის პარტიისადმი უდიდესი ერთგულება.

ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის რამდენიმე თვე აღსავსე იყო საბჭოთა ქვეყნის შებრძოლთა უმაგალითო გმირობით. საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ დაბრუნებისას მფრინავი მაზაევი მოტორების დაზიანების გამო იძულებული იყო დაშვებულიყო მტრის ტერიტორიაზე. თეთრფინელები მტაცებელთა ხროვასავით შემოეხვივნენ დაშვებულ თვითმფრინავს და მძაფრად დაუშინეს ტყვიამფრქვევები და თოფები. კაპიტანი ტრუსოვი, რომელმაც შეამჩნია ამხანაგების მძიმე მდგომარეობა, მიუხედავად სასიკვდილო საფრთხისა, დაეშვა დაზიანებული თვითმფრინავის გვერდით და სამი საბჭოთა მფრინავი გამოსტაცა მტრებს.

პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოს ამბ. დუდკოს მიჰყავდა თავისი ტანკი მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზების ყველაზე საშიშ უბნებში, ჩასაშვები კარიდან თავგამოყოფილი ამბდგურებდა მტრის სნაიპერებს ტყვიამფრქვევის ცეცხლით, გადაარჩინა საფრთხეში ჩავარდნილი ტანკი ამხანაგებისა. დაჭრილმა ამბ. დუდკომ არ მიატოვა ბრძოლის ველი და განაგრძობდა გაფითრებულ ბრძოლას მტერთან.

მესანგრე კაპიტანი ამხ. კოროვინი უდიდესი სიმამაცით პირადად ხელმძღვანელობდა მტრის ხანგრძლივი საცეცხლო წერტილების მოსპობას. თავის მესანგრეებთან ერთად იგი იჭრებოდა ყველაზე საშიშ ადგილებში და, გაანეიტრალა რა ცეცხლს მოწოლილ მტერს, აფეთქებდა რკინაბეტონის სამაგრეებს.

ასეთივე სასახელო საგმირო საქმეებით აღინიშნულია საბრძოლო ბიოგრაფია ჩვენი ქვეყნის დანარჩენი მებრძოლებისა, რომლებსაც ამიერიდან მინიჭებული აქვთ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი სახელწოდება.

ამ საპატიო სახელწოდებით დაჯილდოებულთა შორის ყველანი დიდი კმაყოფილებით წაიკითხავენ უმაღლესი სამხედრო სარდლობის გამონერილ წარმომადგენელთა — ამხანაგების კულიკის, ტიმოშენკოს, მერეცკოვის, პეტუხინის სახელებს. თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის პირველი რანგის სარდალი ამხ. კულიკი და არმიის პირველი რანგის სარდალი ამხ. ტიმოშენკო ეკუთვნიან იმ მებრძოლ მეთაურთა რიცხვს, რომლებმაც გამოიარეს სამოქალაქო ომის ცეცხლი, რომლებსაც ამხანაგი სტალინი აკუთვნებს იმ ადამიანებს, „რომლებმაც საფუძველი დაუდეს ჩვენოსან არმიას და გადაქცეს იგი მრისხანე ძალად“. არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. მერეცკოვიც სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილეა. ეს ადამიანები ჩვენი არმიის სიამაყეა. ისინი რევოლუციის პირველივე დღეებიდან უშიშრად იბრძოდნენ იარაღით ხელში იმისათვის, რომ მილიონობით მშრომელთათვის მოეპოვებინათ თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების უფლება, იბრძოდნენ სოციალიზმისათვის.

„ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედალით დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირი, დივიზიის მეთაური დენისოვი, რომელმაც თავის დროზე უკვე გრძნობალედ დაამტკიცა თავისი სიმამაცე და გამბედაობა პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული დავალების შესრულების დროს.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ღირსეულად აღნიშნულია გმირული წითელი ქვეითი ჯარი — თანამედროვე არმიის საფუძველთა საფუძველი. ქვეითი ჯარის უშიშარმა მებრძოლებმა არტილერისტებთან, მფრინავებთან და ჯარის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან ხელიხელჩაკიდებით გაარღვიეს მანერჰაიმის ხაზი. მისი რკინაბეტონის სიმაგრეებით, რომლებიც მიუვალად ითვლებოდნენ. ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებული იყო მოეხსნია, რომ ომების ისტორიაში არ ყოფილა ამგვარი პრეცედენტი! ვიწრო ასპარეზით შეზღუდულმა, ზამთრის მკაცრ პირობებში, შეტევისათვის მეტად არახელსაყრელ ადგილზე მყოფმა წითელმა არმიამ დასძლია ყველა დაბრკოლება და შეასრულა პარტიისა და მთავრობის საბრძოლო დავალება, განახორციელა საბჭოთა ხალხის ნებასურვილი.

თავიანთ ზურგს უკან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლები და მეთაურები გრძნობდნენ სოციალიზმის თავისუფალი ქვეყნის 183-მილიონიანი მოსახლეობის მძლავრ მზარდაჭერას. ქვეყანა არმიას ამარაგებდა საუკეთოო, სრულყოფილი ტექნიკით, უზრუნველჰყოფდა მას ყველაფრით, რაც კი მას სჭირდებოდა. მილიონობით საბჭოთა პატრიოტები მზად იყვნენ სამშობლოს მოწოდებისთანავე წასულიყვნენ საბრძოლველად. ფრონტზე მყოფი მებრძოლებისაკენ მიმართული იყო მზრუნველი სიყვარული და მისალმება თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან. „ხოლო რას ნიშნავს ხალხის სიყვარული თავისი არმიისადმი? ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ არმიას უმაგრესი ზურგი ექნება, რომ ასეთი არმია უძლეველია“ (სტალინი).

საბჭოთა კავშირმა მიიღო ის, რაც უნდოდა. ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ უმოშარჯო სოციალიზმის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები. წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მშვიდად და მტკიცედ დგანან საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიანი შრომისა და საშვილო ცხოვრების სადარაჯოზე. ჩვენ არ გვაშინებს ომის გამჩაღებელთა არავითარი პროვოკაციები. „ხოლო ის ვაგაბატონები, რომელთა დაბნელებული გონება უმოს მათ დაინახონ საბჭოთა კავშირი ისეთად, როგორიც იგი სინამდვილეშია, უცვლელად მიიღებენ საგნობრივ გაკვეთილებს იმ დროიდე, სანამ არ მიხვდებიან, რომ საბჭოებს დიად ხალხს ჰყავს და ყოველთვის ეყოლება თავისი დიადი და მტერთან ბრძოლაში საშინელი შეიარაღებული ძალა, რომელიც შეუსრავს ყოველთვის და ყველას, ვინც ჰბედავს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა უფლებების, მიწა-წყლისა და ღირსების ხელყოფას“ (ვოროშილოვი).

წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი ჯილდოთი, შემდეგშიც განამტკიცებენ საბრძოლო ძლიერებას, სრულყოფილს გახდიან თავიანთ იარაღს, აიმაღლებენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას. წარსული ბრძოლათა გამოცდილებით გამდიდრებულნი, ისინი შემდეგშიც გვიჩვენებენ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, თავისი მთავრობისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულების მაგალითებს.

„პრავდის“ მოწინავე, 22/III.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უჭროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და მასთან გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი:

1. უმცროს მეთაურს თევდორე იაკობის-ძე **აკურატოვს**
2. ბატალიონის კომისარს ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ანტონოვს**
3. ლეიტენანტს იაკობ ივანეს-ძე **ანტონოვს**
4. კაპიტანს ვასილ სერგეის-ძე **არხიპოვს**
5. პოლკოვნიკს ვიქტორ ილიას-ძე **ბარანოვს**
6. კაპიტანს ვლადიმერ ევგატეს-ძე **ბელოუსოვს**
7. უფროს ლეიტენანტს სიმონ პეტრეს-ძე **ბერეზინს**
8. უმცროს მეთაურს ივანე იაგორის-ძე **ბოლესოვს**
9. უფროს პოლიტხელს ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ბრაგინს**
10. წითელარმიელს ალექსი ივანეს-ძე **ბიაკოვს**
11. უმცროს ლეიტენანტს გიმაზეტდინ ვაზეტინის-ძე **ვაზეტდინოვს**
12. წითელარმიელს ივანე ვასილის-ძე **ვასილიევს**
13. უფროს ლეიტენანტს ალექსი მიხეილის-ძე **ვატაგინს**
14. წითელარმიელს ალექსანდრე მიხეილის-ძე **ვესელოვს**
15. კაპიტანს ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე **ვიდიაშევს**
16. უმცროს მეთაურს ანდრია სტეფანეს-ძე **ვინოგრადოვს**
17. კაპიტანს ივანე პავლეს-ძე **ვლასოვს**
18. კაპიტანს მიხეილ მიხეილის-ძე **ვორონკოვს**
19. კაპიტანს იური ნიკოლოზის-ძე **გარბუკოს**
20. ლეიტენანტს სერგეი ალექსანდრეს-ძე **გოვოროვს**
21. დივიზიის მეთაურს ფილიპე დანიელის-ძე **გორელენკოს**
22. უმცროს მეთაურს ეგორ გაბრიელის-ძე **გორშკოვს**
23. უმცროს ლეიტენანტს ტიმოთე პროკოფის-ძე **გრაჩევს**
24. ლეიტენანტს ანტონ სტეფანეს-ძე **გრისიუკს**
25. უფროს ლეიტენანტს ნიკოლოზ ვასილის-ძე **დეგტიარევს**
26. უმცროს მეთაურს ვლადიმერ ფილიპეს-ძე **დემურას**
27. უმცროს მეთაურს ალექსი ვასილის-ძე **დერიუგინს**
28. უმცროს მეთაურს დანიელ გრიგოლის-ძე **დიდენკოს**
29. უმცროს მეთაურს მაქსიმე ვასილის-ძე **დმიტრიევს**
30. უფროს პოლიტხელს ვასილ დანიელის-ძე **დოცენკოს**
31. I რანგის სამხედრო ტექნიკოსს თედორე მიხეილის-ძე **დუდკოს**
32. კაპიტანს ანატოლი ალექსანდრეს-ძე **დიაკონოვს**
33. უმცროს მეთაურს ეფრემ არესტაულის-ძე **დიაკონოვს**
34. უმცროს სამხედრო ტექნიკოსს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ევსტრატოვს**
35. უმცროს მეთაურს ივანე ეგორის-ძე **ეგოროვს**
36. უმცროს ლეიტენანტს კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე **ეგოროვს**
37. უმცროს პოლიტხელს მიხეილ ივანეს-ძე **ეგოროვს**
38. ბატალიონის კომისარს სერგი ანდრიას-ძე **ეგოროვს**
39. უმცროს მეთაურს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ეყოვს**
40. ლეიტენანტს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ელისეევს**
41. უფროს ლეიტენანტს ეგნატე დიმიტრის-ძე **ემელიანოვს**
42. პოლკოვნიკს ევგენი ექვთიმეს-ძე **ერლიკანს**
43. წითელარმიელს თედორე პეტრეს-ძე **ეუკოვს**
44. წითელარმიელს ვასილ გრიგოლის-ძე **ზახაროვს**
45. პოლკოვნიკს მიხეილ არსენტის-ძე **ზაშივალოვს**
46. უმცროს ლეიტენანტს მიხეილ ივანეს-ძე **ზუბარევს**
47. უმცროს ლეიტენანტს ნიკოლოზ აკაკის-ძე **ზინჩენკოს**
48. უმცროს ლეიტენანტს ხაბიბულ იბრაჰიმის-ძე **იბრაჰიმოვს**
49. წითელარმიელს პეტრე გრიგოლის-ძე **იონინჩევს**
50. წითელარმიელს ნამატ **კარაბლევს**
51. ლეიტენანტს ტიხონ ანტონის-ძე **კაცუბინსკის**
52. უფროს პოლიტხელს ივანე ფირსის-ძე **კვაშინს**
53. უმცროს მეთაურს ბენიამინ ივანეს-ძე **კირილოვს**
54. უმცროს მეთაურს მიხეილ პეტრეს-ძე **კირილოვს**
55. უმცროს მეთაურს ლარიონ პავლეს-ძე **კირპიჩევს**
56. დივიზიის მეთაურს მიხეილ პეტრეს-ძე **კირპონოსს**
57. ლეიტენანტს პავლე ნიკოლოზის-ძე **კირიანოვს**
58. უფროს ლეიტენანტს ნიკოლოზ აკიმის-ძე **კლიპინს**
59. ბატალიონის კომისარს ანატოლ ნიკოლოზის-ძე **კობლიკოვს**
60. ბატალიონის კომისარს ივანე ივანეს-ძე **კოფემაიკინს**
61. უმცროს მეთაურს ვიქტორ დიმიტრის-ძე **კოზლოვს**
62. უფროს პოლიტხელს ეფიმ ვასილის-ძე **კოინაშს**
63. უფროს ლეიტენანტს ბორის ადოლფის-ძე **კოლესოს**
64. უმცროს მეთაურს სერგი პაველის-ძე **კომენდანტს**
65. ლეიტენანტს ბორის ალექსანდრეს-ძე **კორნილოვს**
66. კაპიტანს ივანე ევდოკიმეს-ძე **კოროვინს**
67. ბატალიონის კომისარს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **კოსტილევს**
68. კაპიტანს სერგი შვანეს-ძე **კოსიაკინს**
69. კაპიტანს ივანე მაკობის-ძე **კრავჩენკოს**
70. ლეიტენანტს ანატოლი ბნდრიას-ძე **კრასნოვს**
71. კაპიტანს ხატი მგერდუმ-ძე **კრასნოკუცკის**
72. წითელარმიელს ევგენი ანდრიას-ძე **კრივოის**
73. უმცროს მეთაურს თედორე თედორეს-ძე **კროტოვს**
74. უმცროს მეთაურს ალექსი რომანის-ძე **კრუტოგოლოვს**
75. უმცროს ლეიტენანტს პაველ ივანეს-ძე **კრილოვს**
76. უმცროს მეთაურს არსენ პეტრეს-ძე **კრისიუკს**
77. წითელარმიელს ალექსანდრე კუზმას-ძე **ქსენოფონტოვს**
78. უმცროს მეთაურს იდრის მოსეს-ძე **კუდაშევს**
79. უფროს ლეიტენანტს ვალენტინ თედორეს-ძე **კულაბუხოვს**
80. არმიის I რანგის სარდალს გრიგორ ივანეს-ძე **კულიკს**
81. წითელარმიელს ათანასე ტროფიმეს-ძე **კულიკს**
82. ლეიტენანტს ვლადიმერ მიხეილის-ძე **კუროჩკინს**
83. პოლკოვნიკს მიხეილ პეტრეს-ძე **კუტეინიკოვს**
84. უმცროს ლეიტენანტს ფრანც იაკობის-ძე **კუჩეროვს**
85. უმცროს ლეიტენანტს ივანე იაკობის-ძე **კუშტინს**
86. კაპიტანს ვსევოლოდ კონსტანტინეს-ძე **ლატცევს**
87. უფროს ლეიტენანტს მიხეილ ნიკანორის-ძე **ლარინს**
88. უფროს ლეიტენანტს გიორგი პეტრეს-ძე **ლარიონოვს**
89. უმცროს მეთაურს პეტრე მიხეილის-ძე **ლეონტიევს**
90. უმცროს მეთაურს ალექსი ივანეს-ძე **ლოშკოვს**
91. პოლიტხელს ნიკოლოზ ემელიანის-ძე **ლისენკოს**
92. უფროს ლეიტენანტს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **მაგდიკს**
93. ლეიტენანტს იოსებ ისაკის-ძე **მაკოვსკის**
94. უმცროს მეთაურს ალექსანდრე გრიგოლის-ძე **მალიშევს**
95. წითელარმიელს ალექსანდრე ივანეს-ძე **მამინოვს**
96. უფროს ლეიტენანტს ვასილ პავლეს-ძე **მარიჩევს**
97. კაპიტანს მიხეილ ივანეს-ძე **მარტინოვს**
98. არმიის II რანგის სარდალს კირილე ათანასის-ძე **მერეცკოვს**
99. უფროს ლეიტენანტს ვასილ მიხეილის-ძე **მეშკოვს**
100. უფროს ლეიტენანტს ვასილ ივანეს-ძე **მოსკვინს**
101. ლეიტენანტს ვასილ ფილიპეს-ძე **მუზიკინს**
102. პოლკოვნიკს ვლადიმერ ვარდენის-ძე **ნანეიშვილს**
103. კაპიტანს თედორე სერგის-ძე **ნილოვსკის**
104. პოლიტხელის მოადგილეს გაფიას ერმუხამეტის-ძე **ნიგმატდულინს**
105. უმცროს მეთაურს მიხეილ ვასილის-ძე **ნოვიკოვს**
106. უფროს ლეიტენანტს ალექსი ეგორის-ძე **ოსტაპენკო**
107. პოლიტხელის მოადგილეს ალექსანდრე ივანეს-ძე **პავლოვს**
108. უმცროს მეთაურს თედორე პავლეს-ძე **პავლოვს**
109. დივიზიის მეთაურს მიხეილ არტემის-ძე **პარსეგოვს**
110. ლეიტენანტს პეტრე უსტინის-ძე **პერეგუდას**
111. წითელარმიელს ივანე თედორეს-ძე **პეტრაკოვს**
112. კაპიტანს ანატოლი იოსების-ძე **პეტრაკოვსკის**
113. ლეიტენანტს ვასილ ვასილის-ძე **პეტრენკოს**
114. ლეიტენანტს გიორგი ანდრიას-ძე **პინიაევს**
115. წითელარმიელს ვიქტორ კუზმას-ძე **პისლეგინს**
116. უმცროს ლეიტენანტს ივანე ივანეს-ძე **პლეშკოვს**
117. ლეიტენანტს ალექსანდრე გრიგოლის-ძე **პლოტნიკოვს**
118. უმცროს მეთაურს თედორე ვასილის-ძე **პროკოფიევს**
119. კორპუსის მეთაურს ევგენი სიმონის-ძე **პტუხინს**
120. უფროს ლეიტენანტს ლევ ილარიონის-ძე **პუზანოვს**
121. წითელარმიელს ბაკი **რახმოვს**
122. უფროს ლეიტენანტს ალექსანდრე ექვთიმეს-ძე **რაშევსკის**
123. კაპიტანს მაქსიმე ოსიპის-ძე **რეპეიკოს**
124. ლეიტენანტს პეტრე თედორეს-ძე **რასპოპინს**
125. უმცროს ლეიტენანტს პავლე ივანეს-ძე **რუბენკოს**
126. მაიორს ივანე პავლეს-ძე **როსლის**
127. უმცროს მეთაურს იაკობ თედორეს-ძე **რუდენკოს**
128. ლეიტენანტს ნიკიტა ივანეს-ძე **რუმიანცევს**
129. უმცროს ლეიტენანტს თედორე ივანეს-ძე **რიაბიკინს**
130. უმცროს ლეიტენანტს ხაფიზ საბირის-ძე **საბიროვს**
131. უმცროს მეთაურს ალექსანდრე მიხეილის-ძე **სალოვს**
132. ლეიტენანტს ივანე მიხეილის-ძე **სამოილოვს**
133. კაპიტანს ალექსანდრე თედორეს-ძე **სემიონოვს**
134. უფროს ლეიტენანტს მიხეილ ივანეს-ძე **სიპოვიჩს**
135. მაიორს ვლადიმერ ვასილის-ძე **სმირნოვს**
136. პოლიტხელმძღვანელს ვასილ გაბრიელის-ძე **სნაგოშჩენკოს**
137. უფროს ლეიტენანტს გრიგოლ მაქსიმეს-ძე **სოკოლოვს**
138. კაპიტანს არტემ მაქსიმეს-ძე **სოროკას**
139. კაპიტანს სტეპანე პეტრეს-ძე **სპირკოვს**
140. უფროს ლეიტენანტს გიორგი ბენიამინეს-ძე **სტარკოვს**
141. უმცროს მეთაურს ალექსანდრე სერგის-ძე **სულაბერიძეს**
142. უმცროს ლეიტენანტს ნიკოლოზ ანისიმეს-ძე **სუხინს**
143. უმცროს ლეიტენანტს ალექსანდრე იაკობის-ძე **ტარაკანოვს**
144. არმიის I რანგის სარდალს სიმონ კონსტანტინეს-ძე **ტიმოშენკოს**
145. უმცროს ლეიტენანტს მაკარ ლუკას-ძე **ტკაჩევს**
146. მაიორს ნიკოლოზ სტეფანეს-ძე **ტროპჩინს**
147. უფროს ლეიტენანტს ბორის პავლეს-ძე **ტრიფონოვს**
148. კაპიტანს მიხეილ ტროფიმის-ძე **ტრუსოვს**
149. მაიორს ევგენი გიორგის-ძე **ტურენკოს**
150. ლეიტენანტს მიხეილ ფილიპეს-ძე **უშაკოვს**
151. უფროს პოლიტხელმძღვანელს მიხეილ არსენტის-ძე **ფომიჩევს**
152. უმცროს მეთაურს ალექსანდრე თევდორეს-ძე **ფროლოვს**
153. უმცროს ლეიტენანტს ვასილ მიხეილის-ძე **ფროლოვს**
154. წითელარმიელს ივანე ვასილის-ძე **ხაპროვს**
155. ლეიტენანტს ივანე ალექსანდრეს-ძე **ხვატოვს**
156. პოლიტხელმძღვანელის მოადგილეს ილია გიორგის-ძე **ხმალაძეს**
157. უფროს ლეიტენანტს ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ხოროშილოვს**
158. პოლკოვნიკს არკადი თევდორეს-ძე **ხრენოვს**
159. ლეიტენანტს ანატოლი ალექსის-ძე **ჩეპურენკოს**
160. უმცროს მეთაურს მიხეილ ვასილის-ძე **ჩისტიაკოვს**
161. უფროს ლეიტენანტს ვლადიმერ ექვთიმეს-ძე **შარაპს**
162. კაპიტან ვასილ ვასილის-ძე **შაროვს**
163. უმცროს მეთაურს ლეონიდე ვასილის-ძე **შერონოვს**
164. უმცროს ლეიტენანტს ალექსანდრე ვასილის-ძე **შილოვს**
165. წითელარმიელს ალექსანდრე თევდორეს-ძე **შიხარევს**
166. ლეიტენანტს პეტრე ვასილის-ძე **შუტოვს**
167. წითელარმიელს ალექსი ივანეს-ძე **შჩეპკინს**
168. ლეიტენანტს პეტრე თომას-ძე **იურჩენკოს.**
169. პოლიტხელმძღვანელის მოადგილეს ვასილ ნიკოლოზის-ძე **იაკოვლევს**
170. წითელარმიელს სერგი ქრისტეფორეს-ძე **იაკოვლევს**
171. ლეიტენანტს სერგი თევდორეს-ძე **იაჩნიკს**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 21 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის, დივიზიის მეთაურის, სერგი პროკოფის-ძე დენისოვის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით, დაჯილდოების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიღების უფლებას იძლევა, — დაჯილდოებულ იქნას **საბჭოთა კავშირის გმირი,** დივიზიის მეთაური სერგი პროკოფის-ძე **დენისოვი „ოქროს ვარსკვლავის“** მეორე მედლით, გაკეთდეს ბრინჯაოს ბიუსტი და კვარცხლბეკზე დაიდგას იგი დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 21 მარტი.

წითელი არმიის ჯარის ნაწილების, შენაერთების, უჭროსთა შემადგენლობისა და წითელარმიელების დაჯილდოება

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს პირადი შემადგენლობის მიერ გამოჩენილი სიმამაცისა და გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოვა წითელი არმიის ჯარის 23 ნაწილი, აქედან: ჯარის სამი ნაწილი დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით, ჯარის 20 ნაწილი—**„წითელი დროშის“** ორდენით.

დაჯილდოებულ ჯარის ნაწილებს შორის წარმოდგენილია ჯარის ყველა ძირითადი გვარეობა.

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის **„ოქროს ვარსკვლავის“** მეორე მედლით დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირი, დივიზიის მეთაური სერგი პროკოფის-ძე დენისოვი.

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა და მასთან **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი გადაეცა 171 მეთაურს, პოლიტმუშაკსა და წითელარმიელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის, ცალკე ბრძანებულებით დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით 9329 კაცი — წითელი არმიის უფროსთა და წითელარმიელთა შემადგენლობა, უფროსთა შემადგენლობის, ოჯახის წევრები, ჰოსპიტლებისა და სამოქალაქო დაწესებულებათა მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 184 კაცი, **„წითელი დროშის“** ორდენით—1.701 კაცი, **„წითელი ვარსკვლავის“** ორდენით—1953 კაცი, მედლით **„მამაცობისათვის“**—2.707 კაცი, მედლით—**„საბრძოლო დამსახურებისათვის“**—2.784 კაცი.

ყველა დაჯილდოებულის სახელობითი სია ქვეყნდება გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს მისალმება

რადიოუწყების მუშაკებისადმი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო მიესალმებიან საბჭოთა რადიოუწყების მუშაკებს სსრ კავშირში საბჭოთა რადიოუწყების 15 წლისთავთან დაკავშირებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო აღნიშნავენ მნიშვნელოვან წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა რადიოუწყების დარგში 15 წლის მანძილზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო მოუწოდებენ რადიოუწყების მუშაკებს გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ მიცემული ყველა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გახადონ საბჭოთა რადიომაუწყებლობა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისა და ყოველ-მხრივი კულტურული აღმავლობის კიდევ უფრო ძლავრ საშუალებად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. გ. ბეჭვაიას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. კირილე გიორგის-ძე ბეჭვაია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვ. დრ. აღმსრ.—ა. გორგენაძე

1940 წ. 20 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა საქმეზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვ. დრ. აღმსრ.—ა. გორგენაძე

1940 წ. 20 მარტი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატები

20 მარტისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულია 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის 8.982 კანდიდატი. კანდიდატთა შორის არიან: 861 კოლმეურნეობა, 43 საბჭოთა მეურნეობა, 7 მტს, 99 მეცხოველეობის ფერმა, 1001 ბრიგადირი, 219 მერგოლური, 757 პიონერი, 5 სამეცნიერო-საკვლევო და უმაღლესი სასწავლებელი და სოციალისტური სოფლის მეურნეობის 5.895 მოწინავე და ორგანიზატორი.

გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებად დამტკიცებულია აგრეთვე 18 რესპუბლიკური, რაიონული და კედლის გაზეთი და გაზეთის 27 მოწინავე მუშაკი. კანდიდატებად დამტკიცებულ გაზეთებ

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

ამხ. გ. ჩაჩიბაიას სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საქართველოს ბოლშევიკები განუხრელად ანხორციელებდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, უმაგალითო დარაზმულობით და საუკეთესო მაჩვენებლებით მოვიდნენ თავის XIII ყრილობაზე.

საქართველოს სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდა, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვება, ძირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარება, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის უმაგალითო გაფურჩქვნა მიღწეულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოს ბოლშევიკების თავდადებული მუშაობით, რომლებიც დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით აღზარდა ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ.

იბრძოდა რა XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ბრძენი ბელადის მითითებების განხორციელებისათვის, ზუგდიდის პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. საგულისხმოა პარტიის რიგების ზრდა, რომელიც მიმდინარეობდა ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპის დაცვის საფუძველზე: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიაში მიღებულია 1630 კაცი, აქედან წევრად 552 კაცი.

რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში ამჟამად ირიცხება 1.744 წევრი. შეიქმნა 23 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კადრების აღზრდას და მათს გაბედულად დაწინაურებას. სახელმძღვანელო სამუშაოებზე ჩვენ დავაწინაურეთ 200-ზე მეტი მუშაკი.

ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშებამ და არჩევნებმა, რომელიც მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა, წარმატებებთან ერთად გამოააშკარავა ჩვენი მუშაობის სუსტი მხარეებიც და ამავე დროს გამოავლინა ახალი უნარიანი მუშაკები, რომლებიც არჩიულ იქნენ პირველადი პარტორგანოების მდივნებად და მათ მოადგილეებად. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებად პირველად არის არჩეული 17 ამხანაგი, ამათგან 6 ქალია. თვალსაჩინოდ გაიზარდა ქალთა რაოდენობა პარტბიუროთა შემადგენლობაში.

სერიოზულად მოგვიდეთ რა ხელი პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობას, ჩვენ მივაღწიეთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბოლშევიზმის თეორიას, სისტემატურად ეწყობა ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები და თეორიული კონფერენციები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამას წინათ მოაწყო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. დოკუმენტები ნაჩვენებია ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომის მიხედვით. ეს გამოფენა უდიდეს დახმარებას უწევს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად განხორციელების საფუძველზე ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად. საკოლმეურნეო სოფელში დამკვიდრდა კულტურული და შეძლებული ცხოვრება. აღმოცენდნენ მრეწველობის ახალი დარგები. სწრაფად იზრდება სოციალისტური კულტურა, სახალხო განათლება და მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ამჟამად კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხური მოსახლეობის 88,8 პროცენტი. ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. საუკეთოდ ხარობენ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები. ყველაზე უფრო წამყვან კულტურას და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ჩაი, რომელსაც ამჟამად უკავია 5298 ჰექტარი. ყოველწლიურად იზრდება ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. 1939 წელს ჰექტარიდან საშუალოდ მიღებულია 2077 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი. ჩქარი ტემპით ვითარდება ციტრუსოვანი კულტურები, განსაკუთრებით მანდარინი, რომელსაც უკავია 1324 ჰექტარი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ გავაშენებთ 300 ჰექტარ მანდარინს და 300 ჰექტარ ლიმონს, გეგმის მიხედვით 1941-44 წლებში გაშენებული იქნება 1850 ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაცია, მათ შორის 1280 ჰექტარზე—ფორთოხალი. ჩვენ აღვუთქვამთ საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობას, რომ აღებული ვალდებულებანი განაღდებული იქნება.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები. ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია ორ-ორი ფერმა. პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმა 1938 წელს შესრულებულია 104 პროცენტით, 1939 წელს კი—113,7 პროცენტით.

აღსანიშნავია ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა შეძლებულობის თვალსაჩინო ზრდა. ფულადმა შემოსავალმა კოლმეურნეობებში მიაღწია 23.863.149 მანეთს. კოლმეურნეებს შრომადღეზე მიეცათ საშუალოდ 6,14 კაპ. ანუ 16 პროცენტით მეტი, ვიდრე 1938 წელს. ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1937 წელთან შედარებით 1939 წელს 57 პროცენტით გაზრდა. კოლმეურნეობებს განუყოფელ ფონდში აქვთ 16.905,017 მანეთი, რაც 1937 წელთან შედარებით შეადგენს 64 პროცენტით მატებას. ჩვენ გვყავს საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ბრიგადები. ქ/ონია სარსანიამ 0,8 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 1938 წელს მიიღო 10.880 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლისა, ხოლო 1939 წელს — 11.000 კილოგრამი. მან გამოიმუშავა 1914 შრომადღე, მიიღო 14.000 მანეთი და 857 კილოგრამი სიმინდი. ქ. სარსანია დაჯილდოებულია ოქროს medal-ით.

თუ 1938 წლამდე რაიონში იყო ერთი მილიონერი კოლმეურნეობა, 1939 წელს გვაქვს 5 მილიონერი კოლმეურნეობა. არიან სხვა კოლმეურნეობები, რომლებიც მალე გახდებიან მილიონერები. 1939 წელს ჩვენი რაიონიდან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი იყო 230 მოწინავე ადამიანი და ორგანიზატორი. 1940 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის უფლება მოპოვებული აქვთ 1009 მოწინავე ადამიანს, 28 კოლმეურნეობას, 89 ბრიგადას, 90 რაიონსა და სხვ.

სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალედ შესრულების საფუძველზე ფართოდ გაიშალა სკოლების ქსელი და მოსწავლეთა კონტინგენტი. მოსწავლეთა რაოდენობა 15 ათასზე მეტია. ამ სკოლებს ემსახურება 700 პედაგოგი. ფართოდ გაშალა საბავშვო ბაღების, ჭოხსამკითხველოებისა და ჯანმრთელობის კერები. სახალხო ჯანმრთელობის ბიუჯეტი 1939 წელს შეადგენდა 3 მილიონ მანეთს ანუ 129 პროცენტით მეტს, ვიდრე 1937 წელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და პირადად ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა და ეფსპლოატაციაში შევიდა ონგურის ჭალალდის კომბინატი, რომლის ღირებულება 62 მილიონ მანეთს აღწევს. ჭალალდის გამოშვების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს ადგილობრივი კადრები ბოლშევიკურად ითვისებენ.

როგორც ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა აღნიშნა, კომბინატს ჯერ არა აქვს სვანეთის ტყის ექსპლოატაციის გენერალური გეგმა. საკავშირო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამ სერიოზული საქმისათვის ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. დაწყებული მუშაობა სწრაფად უნდა დამთავრდეს. ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით მდინარე ენგურზე დაიწყო და შენდება საკავშირო მნიშვნელობის ხიდი, რომლის მშენებლობაზე 12 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს. 1939 წელს მშენებლობის გეგმა შესრულდა 100 პროცენტით. 1940 წლის გეგმაც შესრულებული იქნება. შენდება აგრეთვე ჩაის საწნეხი ქარხანა, რომელიც ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს მიმდინარე წლის ბოლოს. 1941 წელს დაიწყება ჩაის მესამე ფაბრიკის მშენებლობა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს მიერ დაკმაყოფილებულია ჩვენი შუამდგომლობა მდინარე ენგურის მიმართულების შეცვლის შესახებ არხის გაყვანით ეს მუშაობა მიმდინარეობს ფერგანის დიდი არხის მშენებლობის გამოცდილების საფუძველზე. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გახსნის დღეს—15 მარტს აქ მუშაობა დაიწყო 2000-მა კოლმეურნემ. პირველ დღეს ამოიღეს და გადაიტანეს 300 კუბამეტრი მიწა, რაც უდრის დღიური გეგმის 135 პროცენტს.

ზუგდიდის პარტორგანიზაცია შემდგომშიაც მტკიცედ იხელმძღვანელებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით, უფრო აამაღლებს პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკთა რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მაღლა ასწევს ლენინ-სტალინის დიად დროშას.

ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, მტკიცედ დარაზმული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გარშემო, უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს დიდი სტალინის ირგვლივ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით წაიყვანს რაიონის მშრომელებს ახალ - ახალი გამარჯვებებისაკენ. **(ტაში).**

ამხ. ა. მგელაძის სიტყვა

„საქნავთის“ ტრესტის მმართველი

ანხორციელებდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა საქართველოს ნავთის მუშაკებმა მიაღწიეს თავისი მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მობილიზაცია უყო „საქნავთის“ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს ხალხის უკვე განადგურებული მტრების მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად, ნავთის ახალი ბაზის შექმნისათვის საბრძოლველად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ნავთის მრეწველობა შესამჩნევად დაწინაურდა. 1939 წელს შექმნილია ნავთის დამოუკიდებელი სარეწაოები, მირზაანი და პატარა შირაქი. ნავთის ამოღება ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში „საქნავთში“ სამჯერ გადიდდა. 1940 წლის პირველი კვარტალის ორნახევარი თვის განმავლობაში „საქნავთის“ ხაზით ნავთის ამოღების გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, ნავთის გადამუშავების გეგმა—120 პროცენტით.

გასულ წლებთან შედარებით თვალსაჩინო გაუმჯობესება გვაქვს ბურღვაშიაც. მაგრამ როგორც სწორად აღნიშნა თავის მოხსენებაში ამხ. ჩარკვიანმა, ბურღვა ჯერ კიდევ წარმოადგენს „საქნავთის“ მუშაობის ჩამორჩენილ უბანს. განსაკუთრებით ძლიერ არის ჩამორჩენილი საძიებო ბურღვა.

„საქნავთის“ მუშაკთა კოლექტივი ის აღარ არის, რაც იყო ამ ერთი ან რამდენიმე წლის წინათ. უპირველეს ყოვლისა გვაქვს ადგილობრივი კადრების სწრაფი ზრდა. „საქნავთში“ მომუშავე 111 სპეციალისტიდან, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, 74-მა დაამთავრა თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი. ეს სპეციალისტები წარმატებით ეუფლებიან ნავთის წარმოების ტექნიკას.

„საქნავთის“ სარეწაოებსა და ნავთის საძიებო სამუშაოებზე აღიზარდნენ მუშების ახალი კადრები—გუშინდელი კოლმეურნეები. თავისი სტახანოვური მიღწევებით ახლა ცნობილი არიან მბურღავები კაკალაძე, მჭედლიშვილი, ქშუტაშვილი, ბეგიაშვილი, ცქიფურიშვილი, ნავთსახდელი ქარხნის მუშები თანდილაშვილი, ხიდაშელი, თამაზაშვილი და სხვ. 1939 წელს „საქნავთის“ ტრესტმა სულ მოამზადა ნავთის 438 მუშაკი.

საქართველოს ნავთის მუშაკთა კოლექტივი შეუღიბრებაშია უკრაინის ნავთის მუშაკებთან. 1939 წელს საქართველოს ნავთის მუშაკებმა ამ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. 1940 წელს უკრაინის ნავთის მუშაკებთან შეჯიბრება გრძელდება.

საქართველოს ნავთის მრეწველობის ჩასახვა და განვითარება, მისი ყველა მიღწევა დაკავშირებულია ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა საქართველო გადაიქცევა საბჭოთა კავშირის ერთერთ უმძლავრეს ნავთის ბაზად.

მაგრამ „საქნავთის“ ტრესტისა და სარეწაოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. საქართველოს ნავთის მრეწველობის უფრო სწრაფ განვითარებას ხელს უშლის სარეწაო და დამხმარე მეურნეობის: ნავთსადენების, წყალსადენის, სახელოსნოების და სხვ. უქონლობა.

„საქნავთის“ ტრესტისათვის დამხმარე და შინასარეწაო მეურნეობის მშენებლობის შესახებ ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალება ჩაშლილია „აზნევტესტროის“ და „გლავნევტესტროის“ მიერ. „აზნევტემონტაჟსტროის“ მიერ 1939 წელს აგებული ალაზან-მირზაანის პირველი რიგის წყალსადენის მშენებლობა არადამაკმაყოფილებელი ხარისხისაა.

საქართველოს ნავთის რაიონებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების წესი ამჟამად საფუძვლიანად არის შეცვლილი ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ. წყალნავთსადენებისა და გზების მშენებლობა გადაეცა სსრკ ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავნევტესტროის“ „ცენტროსპეცსტროის“ კანტორას. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მუშაობის ტემპები არადამაკმაყოფილებელია. ბოლო უნდა მოეღოს „აზნევტესტროისა“ და „გლავნევტესტროის“ ასეთ დაუშვებელ დამოკიდებულებას საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარებისადმი.

1939 წელს ჩატარებულ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საძიებო ფართობის ფონდი.

შესაფერისი ტექნიკური აღჭურვილობისა და მთელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის გარდაქმნის პირობებში, ტრესტი შესძლებს ბევრად გაადიდოს ნავთის ამოღება და სავსებით უზრუნველჰყოს საქართველოს მოთხოვნილება სწვავ-საცხები მასალების მხრივ.

1940 წელს „საქნავთის“ ტრესტის წინაშე დასახულია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები. „საქნავთის“ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მთელს თავიანთ ძალას, მთელს ენერგიას მოანდომებენ იმას, რომ სასახელოდ შეასრულონ ეს ამოცანები, იმას, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) შემდეგს ყრილობას შეხვდნენ კიდევ უფრო მეტი წარმატებებით საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარებას საქმეში და გადააქციონ იგი დიადი საბჭოთა კავშირის ერთერთ ნავთის ბაზად. **(ტაში).**

ფრანგ კომუნისტ დეპუტატთა პროცესი

ბრიუსელი, 21 მარტი (საკდესი). გუშინ პარიზის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ფრანგ კომუნისტ დეპუტატთა პროცესი. საბრალდებო სკამზეა პარლამენტის 35 დეპუტატი, რომელთაც უკანონოდ ჩამოართვეს სადეპუტატო უფლებანი: ბიიუ, ბონტი, ჟან რენო, მიდოლი, კოსტი და სხვ.

სასამართლოს შენობის ირგვლივ და დარბაზში პოლიციის მრავალრიცხოვანი რაზმებია.

სასამართლოს სხდომის დასაწყისში დაცვის წარმომადგენელმა ზევაესმა განაცხადა: როგორც გავიგე, მთავრობის წევრებს აკრძალული აქვთ მოწმედ გამოსვლაო. ზევაესმა მოითხოვა, რათა ტრიბუნალმა ანგარიში არ გაუწიოს მთავრობის გადაწყვეტილებას და მოწმედ გამოიწვიოს მინისტრები კეი, დალადიე და ბონე.

დაცვის მოთხოვნის გამო პროკურორმა და ტრიბუნალმა დავა აუტეხეს დაცვასა და ბრალდებულთ.

დამცველმა ვილარმა აღნიშნა, რომ დალადიემ კომუნისტი დეპუტატები მოღალატეებად გამოაცხადა. ამავე დროს საბრალდებულო სკამზე მსხდომნი მუდამ უაღრესად თანმიმდევრული დამცველები იყვნენ ფრანგი ხალხის უმრავლესობის ინტერესებისა. „საბრალდებულო სკამზე, — ამბობს დამცველი, — ზის ხალხის 35 არჩეული, რომლებიც თვისაც ხალხს ჯერ არასოდეს არ მოუკლია თავისი ნდობა. დალადიემ სასამართლოს წინაშე დაამტკიცოს ის საშინელი ბრალდება, რომელიც მან კომუნისტებს წაუყენა“.

პროკურორი დაცვის მოთხოვნის წინააღმდეგი გახდა. ერთი საათის თათბირის შემდეგ ტრიბუნალმა ზევაესისა და ვილარის მოთხოვნა უარჰყო.

ბრალდებულთა ამოკითხვის დროს ბარელმა, ბიიუმ, ჟან რენომ, მიდოლმა და ბევრმა სხვამ, როცა მათ პროფესია ჰკითხეს, უპასუხეს: „მანდატჩამორთმეული დეპუტატი“, „საფრანგეთის მუშებისა და გლეხების მიერ არჩეული დეპუტატი“. ტრიბუნალის თავმჯდომარე თავდაპირველად ცდილობდა აეკრძალა ბრალდებულთათვის ასეთი პასუხის გაცემა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა შეჰხიგებოდა ამას. ბონტმა და ბიიუმ, როცა ჯერი მათზე მიდგა, დასძინეს, რომ ამომრჩევლებს მათთვის არ ჩამოურთმევიათ სადეპუტატო მანდატები. ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარე ბონტს დაემუქრა, რომ პროცესიდან გააძევებს.

შემდეგ ბრალდებულთ განცხადებისათვის ეძლეოდათ სიტყვა. ისინი მოითხოვენ, რათა დალადიე და ბონე სასამართლოში გამოცხადდნენ და დაამტკიცონ მათ მიერ კომუნისტ დეპუტატებისადმი წაყენებული ბრალდებანი.

შინაარსიანი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა ბონტმა.

ერთი წუთის შესვენების შემდეგ ტრიბუნალმა კვლავ უარჰყო წინადადება სასამართლოში დალადიესა და ბონეს გამოწვევის შესახებ.

სხდომის დასასრულს პროკურორმა მოითხოვა, რათა შემდგომში პროცესი კარდახურულ დარბაზში წარმოებდეს. დამცველებმა და ბრალდებულებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ამის წინააღმდეგ. თათბირის შემდეგ ტრიბუნალმა გადაწყვიტა პროცესი კარდახურულ დარბაზში ჩაატაროს.

საფრანგეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 22 მარტი (საკდესი). დღეს დილით გაიმართა მინისტრთა კაბინეტის სხდომა რეინოს თავმჯდომარეობით, ამის შემდეგ კ — მინისტრთა საბჭოს სხდომა პრეზიდენტ ლებრენის თავმჯდომარეობით. სხდომებზე წაკითხულ და მოწონებულ იქნა მთავრობის დეკლარაცია. დეპუტატთა პალატის საღამოს სხდომაზე რეინომ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია. სენატში დეკლარაცია შოტანმა წაიკითხა.

ახალი მთავრობა თავის დეკლარაციაში მთავარ ამოცანად აცხადებს ომის მოლომდე განგრძობას და ქვეყნის შიგნით „გამცემლობასთან“ გადამწყვეტ ბრძოლას.

მთავრობის დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვეს გალიმანმა და ბაიემ, რომლებიც მთავრობას მხარს უჭერენ.

საფრანგეთის მთავრობის ახალი შემადგენლობა

პარიზი, 21 მარტი (საკდესი). ჰოლ რეინომ ახალი კაბინეტი შეადგინა. კაბინეტში შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი რეინო („ალიანს დემოკრატიკ“), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შოტანი (რადიკალ-სოციალისტი), სამხედრო მინისტრი დალადიე (რადიკალ-სოციალისტი), იუსტიციის მინისტრი სეროლი (სოციალისტი), შინაგან საქმეთა მინისტრი რუა (რადიკალ-სოციალისტი), ფინანსთა მინისტრი ლამურე (რადიკალ-სოციალისტი), ინფორმაციის მინისტრი ფროსარი („სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირი“), საზღვაო მინისტრი კამპინჩი (რადიკალ-სოციალისტი), ავიაციის მინისტრი ლორან-ეინაკი („მემარცხენე რადიკალი“), განათლების მინისტრი სარო (რადიკალ-სოციალისტი), კოლონიათა მინისტრი მანდელი (დამოუკიდებელი რესპუბლიკელი), ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი როლენი („ალიანს დემოკრატიკ“), საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი დე მონზი („სოციალისტ. და რესპუბლ. კავშირი“), შრომის მინისტრი პომარე („სოციალისტ. და რესპუბლ. კავშირი“). კავშირგაბმულობის მინისტრი ჟიულენი (რადიკალ-სოციალისტი), სავაჭრო ფლოტის მინისტრი რიო (მემარცხენე დემოკრატი), შომარაგების მინისტრი კეი (რადიკალ-სოციალისტი), მიწათმოქმედების მინისტრი ტელიე („ალიანს დემოკრატიკ“), შეიარაღებათა მინისტრი დორიო (დაჯგუფებათა გარეშე), ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ერო („ალიანს დემოკრატიკ“), პენსიათა მინისტრი რივიერი (სოციალისტი), ბლოკადის მინისტრი მონე (სოციალისტი).

ამგვარად, მთავრობის შემადგენლობაშია: 8 რადიკალ-სოციალისტი, 3 სოციალისტი, 4 წარმომადგენელი „ალიანს დემოკრატიკისა“, 3 წარმომადგენელი „სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირის“ პარტიისა, 1 წარმომადგენელი „მემარცხენე რადიკალებისა“, 1 დამოუკიდებელი რესპუბლიკელი, 1 მემარცხენე დემოკრატი და 1 უპარტიო.

წინა კაბინეტიდან მთავრობის ახალ შემადგენლობაში არ შესულან: ყოფ. ბლოკადის მინისტრი პერნო, ყოფ. იუსტიციის მინისტრი ბონე, ყოფ. განათლების მინისტრი დელბოსი, ყოფ. პენსიათა მინისტრი ბესი, ყოფ. ვაჭრობის მინისტრი ჟანტენი, ყოფ. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი რიუკარი, ყოფ. ავიაციის მინისტრი გი ლა შამბრი.

საფრანგეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 22 მარტი (საკდესი). მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მანერჰაიმის თავდაცვის ხაზის დანგრევა და ვიბორგის მიდამოებში რუსეთის ჯარების შეჭრა დიდი ლახვარი იყო ფინელებისათვის. ამის გამო ფინეთის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დააყენა საკითხი, რათა დაუყოვნებლივ ჩამოეგდოთ ზავი ყოველგვარ პირობებში.

„შეუერთდნენ სხვა ქვეყნებს“ (ლაპარაკია ინგლისსა და საფრანგეთზე), რომლებიც „მზად არიან დაეხმარონ მათ“.

შეეხო რა უელესის მოგზაურობას და ჰიტლერისა და მუსოლინის შეხვედრას ბრენერში, ჩემბერლენმა სთქვა: „როგორიც უნდა იყოს ამ შეხვედრის შედეგი, ჩვენ მისთვის მზადა ვართ და არ გადავუხვევთ იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც ჩვენ ეს ომი დავიწყეთ“.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ სკაპა-ფლოუზე გერმანიის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმის დროს გადმოყრილ იქნა დაახლოებით 20 უყმბარა. ერთი ხომალდი დაზიანდა. გერმანიის თვითმფრინავებმა სკაპა-ფლოუს რაიონში ხმელეთზე გადმოჰყარეს დიდი დამანგრეველი ძალის 121 უყმბარა და დაახლოებით 500 ცეცხლგამჩენი უყმბარა.

შეეხო რა ომის პერსპექტივებს, ჩემბერლენმა, დასასრულ, სთქვა: „ზოგიერთი, ალბათ, დაეხებით მოითხოვს უფრო გადამწყვეტი პოლიტიკის წარმოებას. ჩვენ შევნებული გვაქვს მთელი ის პასუხისმგებლობა, რომელიც მთავრობას ეკისრება, და ვერავინ ჩაგვბამს ავანტიურაში, რომელსაც, ჩვენის აზრით, წარმატების ნაკლები შანსები აქვს და რომელსაც შეუძლია შეჭმნას საფრთხე, და, შესაძლებელია კატასტროფაც კი გამოიწვიოს. იმ დროისა და ადგილის საკითხი, რომელსაც ჩვენ შევძლებთ დავარტყათ, უაღრესად მოფიქრებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე უნდა გადაიჭრას“.

ჩეხოსლოვაკიის სააგენტო შინელთა კაპიტულაციის მიზეზების შესახებ

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს თავისი ჰელსინკელი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ მანერჰაიმის თავდაცვის ხაზის დანგრევა და ვიბორგის მიდამოებში რუსეთის ჯარების შეჭრა დიდი ლახვარი იყო ფინელებისათვის. ამის გამო ფინეთის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დააყენა საკითხი, რათა დაუყოვნებლივ ჩამოეგდოთ ზავი ყოველგვარ პირობებში.

ჩემბერლენის გამოსვლა

ლონდონი, 21 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც უმთავრესად საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას შეეხებოდა. როგორც მთელი სიტყვის შინაარსიდან სჩანს, სიტყვის დანიშნულება იყო დაემტკიცებინა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა დიდი ღონისძიებანი განახორციელეს ფინეთის დასახმარებლად და თუ ამ ღონისძიებებმა მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანა, ვითომც ამაში ბრალი მიუძღვით უმთავრესად შვეციასა და ნორვეგიას, რომლებმაც უარი განაცხადეს გაეტარებინათ თავიანთ ტერიტორიაზე ინგლის-საფრანგეთის ჯარი. ჩემბერლენმა ჩამოსთვალა ის სამხარი მასალები, რომლებიც ინგლისმა ფინეთს გაჰგზავნა. იგი თავს ესხმოდა გერმანელებ, რომელმაც ვითომდა ზეგავლენა მოახდინა შვეციასა და ნორვეგიაზე ჯარების გატარების საკითხში.

ამავე დროს ჩემბერლენის სიტყვა შეიცავდა საყვედურებს შვეციისა და ნორვეგიის მიმართ. კერძოდ, ჩემბერლენმა კრიტიკულად მოიხსენია „ნეიტრალიტეტის დოქტრინა“, რომელმაც ვითომდა შეაფერხა ნორვეგიისა და შვეციის მოქმედება და რომელიც „ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ მცირე ნეიტრალური ქვეყნისათვის უმჯობესია გამოსცადოს ყველაფერი, რაც კი გნებავთ, ოღონდ ჩათრეული არ იყოს ომში გერმანიასა და მოკავშირეებს შორის“. ჩემბერლენმა ურჩია შვეციასა და ნორვეგიას თავი დაენებონ „ნეიტრალიტეტის ამ დოქტრინას“ და „შეუერთდნენ სხვა ქვეყნებს“ (ლაპარაკია ინგლისსა და საფრანგეთზე), რომლებიც „მზად არიან დაეხმარონ მათ“.

შეეხო რა უელესის მოგზაურობას და ჰიტლერისა და მუსოლინის შეხვედრას ბრენერში, ჩემბერლენმა სთქვა: „როგორიც უნდა იყოს ამ შეხვედრის შედეგი, ჩვენ მისთვის მზადა ვართ და არ გადავუხვევთ იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც ჩვენ ეს ომი დავიწყეთ“.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ სკაპა-ფლოუზე გერმანიის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმის დროს გადმოყრილ იქნა დაახლოებით 20 უყმბარა. ერთი ხომალდი დაზიანდა. გერმანიის თვითმფრინავებმა სკაპა-ფლოუს რაიონში ხმელეთზე გადმოჰყარეს დიდი დამანგრეველი ძალის 121 უყმბარა და დაახლოებით 500 ცეცხლგამჩენი უყმბარა.

შეეხო რა ომის პერსპექტივებს, ჩემბერლენმა, დასასრულ, სთქვა: „ზოგიერთი, ალბათ, დაეხებით მოითხოვს უფრო გადამწყვეტი პოლიტიკის წარმოებას. ჩვენ შევნებული გვაქვს მთელი ის პასუხისმგებლობა, რომელიც მთავრობას ეკისრება, და ვერავინ ჩაგვბამს ავანტიურაში, რომელსაც, ჩვენის აზრით, წარმატების ნაკლები შანსები აქვს და რომელსაც შეუძლია შეჭმნას საფრთხე, და, შესაძლებელია კატასტროფაც კი გამოიწვიოს. იმ დროისა და ადგილის საკითხი, რომელსაც ჩვენ შევძლებთ დავარტყათ, უაღრესად მოფიქრებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე უნდა გადაიჭრას“.

ვან ძინ-ვეის „მთავრობის“ შედგენა

შანხაი, 21 მარტი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო ხანკინიდან იუწყება, 20 მარტს ნანკინის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 30 მარტს შესდგეს „ჩინეთის ახალი მთავრობა“:

ნეკროლოგი

პროფ. აღ. ცაგარელი

20 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის გამგე, დამსახურებული პროფესორი ალექსანდრე პეტრეს-ძე ცაგარელი.

პროფ. ა. ცაგარელი დაიბადა 1885 წელს. 1906 წელს თბილისში საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპეციალისტების განყოფილებაზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს. 1912 წელს დამთავრებისთანავე იწყებს მეცნიერულ მუშაობას ქიმიის დარგში და დიდ მოღვაწეობას ეწევა ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

1920 წლიდან პროფ. ა. ცაგარელი იწყებს პედაგოგიურ მუშაობას ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის კათედრაზე და ამ დროიდან მთელი 20 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ემსახურება კადრების აღზრდის საქმეს. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო. აღსანიშნავია, რომ პროფ. ა. ცაგარელმა ქართულ ენაზე პირველად შეადგინა და გამოსცა არაორგანული ქიმიის სახელმძღვანელო და ავრეთვე თვისებითი და ოდენობითი ანალიზის კურსი.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა, პროფ. ა. ცაგარელი ინსტიტუტში ეწეოდა აგრეთვე აქტიურ საზოგ